თბილისში – 3:0

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “კარპატი” (ლვოვი) 3:0 (0:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე (პეტრიაშვილი), ასათიანი, წერეთელი, ყიფიანი, ლ. ნოდია (რეხვიაშვილი).

“კარპატი”: ვაიდა, კიკოტი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, სიროვი, ბროვარსკი, კრუპეი, სავკა, დანილიუკი (შპოდარუნოკი), ლიხაჩოვი, კოზინკევიჩი.

მსაჯი: ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

თბილისის “დინამოსა” და ლვოვის “კარპატის” დუბლიორთა შეხვედრისას ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ სტუმართა რიგებში თამაშობდა ძირითადი გუნდის წევრთა მთელი ჯგუფი – გერეგი, გრეშჩაკი, პოკორა, ჟურავსკი, შპოდარუნოკი, ესე იგი ის ფეხბურთელები, რომლებმაც წინა წლებში ესოდენ დიდი წარმატებები მოუტანეს “კარპატის”. შემადგენლობაში ასეთი მასშტაბის მანიპულაციას თბილისელებთან მატჩში, ისიც მათს მინდორზე, მწვრთნელი მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით ვერ გაბედავდა. ცხადია, ლვოველებს საფუძვლიანად გაახალგაზრდავებული ჰყავთ თავიანთი გუნდი, რათა მან უფრო აქტიურად, მეტი დატვირთვით და სწრაფად ითამაშოს, არ დათმოს ინიციატივა ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრებში.

ეს თვალნათლივ ჩანდა პირველ ტაიმში, როცა სტუმრებმა შეძლეს ამოცანის შესრულება. რა თქმა უნდა, უპირატესობა მათ არ ჰქონიათ, მაგრამ “კარპატი” მეტოქეს მინდვრის ცენტრს არ უთმობდა, წარმატებით იბრძოდა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან და კოზინკევიჩისა და ლიხაჩოვის მეშვეობით დროდადრო სწრაფ, სახიფათო კონტრიერიშებსაც ახორციელებდა.

მატჩის ასეთი მსვლელობა, ეტყობა, ხელს აძლევდათ ლვოველებს, დინამოელებმა კი თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად ჩაატარეს პირველი ტაიმი. თავდასხმას აშკარად აკლდა ურთიერთგაგება, აგრესიულობა (გამონაკლისს მხოლოდ წერეთელი წარმოადგენდა), ხოლო ნახევარმცველები იშვიათად სცდებოდნენ ცენტრალურ ზონას და ბურთსაც ხშირად კარგავდნენ.

სულ სხვაგვარად ითამაშეს თბილისელებმა შესვენების შემდეგ. საკმარისი გახდა ლ. ნოდიას რამდენიმე სწრაფი გარღვევა, ყიფიანის მწვავე რეიდები, რომ ნახევარმცველთა თამაშსაც საჭირო ეფექტი მისცემოდა. პირველი წუთებიდან აღებული ტემპი, კარგი კომბინაციური ურთიერთმოქმედება არ დარღვეულა მთელი ტაიმის განმავლობაში. “კარპატის” მცველები ვეღარ უმკლავდებოდნენ მოპირდაპირე თავდამსხმელებს, რომლებსაც აქტიური მხარდაჭერა ჰქონდათ შუა ხაზის მოთამაშეთა მხრივ.

ანგარიში 54–ე წუთზე გახსნა წერეთელმა. მან ბურთი მიიღო ყიფიანის გარღვევის შემდეგ, “გაითავისუფლა” თავი მცველებისგან და ზუსტად, უშეცდომოდ დაარტყა მარჯვენა მაღალ კუთხეში. ვაიდა უძლური იყო ეხსნა კარი.

მე–60 წუთზე ლ. ნოდიამ მოატყუა კიკოტი, კარის გასწვრივ ჩააწოდა მაღალი ბურთი და ყიფიანმა ჩორბასა და სიროვთან ძნელ ბრძოლაში შეძლო ზუსტად დაერტყა თავით.

გამარჯვება დააგვირგვინა ხურცილავამ, რომელმაც საჯარიმოს გათამაშების შემდეგ ბურთი ძლიერად გაგზავნა კარისკენ. იგი მოხვდა ერთ–ერთ მცველს, შეიცვალა მიმართულება და ბადეში აღმოჩნდა.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 5 მაისი, 1973 წ.